ნია ელიავა

28/06/2005

სკოლა: **კავკასიის მედიის სკოლა**

პროგრამა: **პიარი და კომუნიკაცია**

კურსი: II

CU ელ. ფოსტა:**N_ELIAVA@CU.EDU.GE**

ჩემს შესახებ

ჩემი სახელია ნია. ვსწავლობ კავკასიის უნივერსიტეტის PR (პიარისა) და კომუნიკაციის ფაკულტეტზე. როგორც მედიის სკოლის სტუდენტი აქტიურად ვარ ჩართული როგორც შიდა საუნივერსიტეტო აქტივობებში, ისე უნივერსიტეტის გარეთ სხვადასხვა მნიშვნელოვან მოხალისეობრივ საქმიანობაში.

ვარ ძალიან კომუნიკაბელური, მომწონს აქტიური ცხოვრების წესი - ახალი ადამიანების გაცნობა, თავგადასავლები და სიახლეები. სწორედ ამიტომ, ადრეული ასაკიდანვე მონაწილეობას ვიღებდი საზაფხულო სკოლებში, კონკურსებსა და ბანაკებში. ვფიქრობ, აქ მიღებული ცოდნა კიდევ უფრო დამეხმარა ჩემი პიროვნების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ყოველთვის ვცდილობ, საკუთარი თავი კომფორტის ზონის გარეთ აღმოვაჩინო და ძალიან ბევრ სხვადასხვა გამოწვევას დავუპირისპირო, რაც პიროვნულ და პროფესიულ ზრდაში დამეხმარება.
მიყვარს უცხო ენების შესწავლა და ვცდილობ რაც შეიძლება მეტ უცხო ენას დავეუფლო. ამჟამად ვფლობ როგორც ინგლისურ, ისე ფრანგულ ენას. გარდა ამისა, ვსწავლობ გერმანულსაც. მომავალში ვგეგმავ, სწავლა საზღვარგარეთ გავაგრძელო.
თავისუფალ დროს ვკითხულობ ლიტერატურას და მიყვარს კინოსამყარო. მაინტერესებს სპორტი და აქტიურად ვუყურებ ფეხბურთს, კალათბურთსა და ფორმულა ერთს. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია მეგობრებთან ერთად გატარებული დრო.
მოხარული ვარ, რომ გავხდი კავკასიის უნივერსიტეტის ელჩი და მოუთმენლად ველოდები, ერთად შევქმნათ სტუდენტური ცხოვრების დაუვიწყარი გამოცდილება.

კავკასიის უნივერსიტეტის ელჩი
CAUCASUS UNIVERSITY
AMBASSADOR